# თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

–

## ო ქ მ ი N 3

ქ. თელავი 2019 წლის 15 თებერვალი

**თავმჯდომარეობდა:** კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: ვასილ არაბული, ბესიკ ქოჩიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ნანა ხვისტანი, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ს.ს. „სილქნეტთან“ ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს.ა.შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს.ა.შათირიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნანა წიწაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

   მომხს.ა,შათირიშვილი.

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის პროექტის განხილვის შესახებ.

– მომხს. ა. შათირიშვილი

**მოისმინეს: 1.** ს.ს. „სილქნეტთან" ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ ს.ს.სილქნეტი თხოულობს ს.წინანდლის ტერიტორიაზე მდებარე 15 ერთეულ გარე განათების ბოძზე საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის მიზნით სასყიდლიანი ხელშეკრულების გაფორმებას, რითაც მოსახლეობა მიიღებს ხარისხიან ინტერნეტს. ს.ს. სილქნეტი წლიურად გადაიხდის 45 ლარს.

ვასილ არაბულმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმებაზე მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს და დააყენა წინადადება საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენის თაობაზე.

ვასილ არაბულის წინადადებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

**გადაწყვიტეს:** პროექტი .ს.ს. „სილქნეტთან" ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს: 2.** თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერია ყოველწლიურად აცხადებს ელექტრონულ აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საძოვრების იჯარით გაცემაზე და მსურველებს აქვთ შესაძლებლობა საძოვრით სარგებლობაზე.

ა.შათირიშვილმა აღნიშნა, რომ ქონების გადაცემის გამო მუნიციპალიტეტს შეუმცირდება საბიუჯეტო შემოსავლები ამდენად მიზანშეწონილი არ არის საძოვრის გასხვისება.

წინადადებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

**გადაწყვიტეს:** თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ პროექტი წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:** 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნანა წიწაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** გიორგი თავზერიძემ აღნიშნა, რომ რუისპირის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მომართა მერს, რომ ოჯახს არ გააჩნია სხვა თავშესაფარი და ასევე ქონება არის ოჯახისთვის ერთადერთი სარჩენი წყარო.

ა.შათირიშვილმა დააყენა წინადადება, რომ თანხმობა მიეცეს მერს, რისთვისაც საკითხი წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**გადაწყვიტეს:** პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნანა წიწაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:** 4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** ა. შათირიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი შესაძლებლობას იძლევა, შემდგომში საკრებულომ იხელმძღვანელოს ტექნიკურად და სამართლებრივად დახვეწილი დოკუმენტით და დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოზე განხილვის თაობაზე.

წინადადებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

**გადაწყვიტეს:** პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის განხილვის შესახებ წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი